ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი №7(1)

26 დეკემბერი 2017 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა, ეკოლოგიისა და გამწვანების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, განათლების და კულტურის, სარეკრეაციო და ეკონომიკური განვითარების კომისიებთან ერთად

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კოისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2. კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი; ლევან არველაძე; რამინა ბერაძე; თემურ გორგაძე; ალექსანდრე ხუჯაძე; დავით უთმელიძე; ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე -ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი- ირაკლი თავართქილაძე

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი- კობა ჭამპურიძე

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი - ირინა ჭეიშვილი

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორი - ლევან ჯღარკავა

ააიპ ბაღების მართვის სააგენტოს უფროსი - კახა გვანცელაძე, დავით კერესელიძე

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს განიხილავს ყველა კომისია, ხოლო დანარჩენი საკითხების განხილვას განაგრძობს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.
   №12-031735686-03

2. ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.
   (№ 12-03173592-03)

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე.
   №12-031735687-03
4. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი №11-01173592616, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით საქალაქო სამსახურებისა და საბურთალოს რაიონის გამგეობისთვის მიკუთვნებული პროგრამებსა და ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის მიერ დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.
მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტი იზრდება 24 307,6 ათასი ლარით, აქედან 14 000,0ათასი ლარი გამოიყო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, რომელიც მიმართულია მეტროპოლიტენის სადგურების კაპიტალური შეკეთებისა და ვაგონების მოდერნიზაციისთვის, ხოლო დანარჩენი ფაქტიურად მიღებული სხვადასხვა შემოსავლებია. მ.შ. 1 599,1 ათასი ლარი პროცენტებიდან მიღებული შემოსავლები, 8 225,6 ათასი ლარი- მოსაკრებელი სპეციალური(ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის, ხოლო 482,9 ათასი ლარი შემოსავლები სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) .
ბიუჯეტის ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:
იზრდება-
საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შმადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) 18 230,7 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 6300,0 ათასი ლარით, ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 02 070) 340,7 ათასი ლარით, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02) – 388,5 ათასი ლარით, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა" (კოდი 07 01 02) 9 000,0 ათასაი ლარით, სარეზერვო ფონდი- 150,0 ათასი ლარით.

მცირდება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტის ფარგლებში მცირდება ასიგნებები 1 655,1 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა,ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრების პრიორიტეტი- 4656,9 ათასი ლარით, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესების პრიორიტეტი 211,5 ათასი ლარით, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში მცირდება ასიგნებები 1 427,2 ასთასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პრიორიტეტი 192,3 ათასი ლარით, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ასიგნებები მცირდება 91,2 ათასი ლარით, განათლების პრიორიტეტი 150,0 ათასი ლარით, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტი- 354,9 ათასი ლარით და წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების პრიორიტეტის ფარგლებში მცირდება გლდანის რაიონის გამგეობის ასიგნებები 15,0 ათასი ლარით.

შეკითხვები ქონდათ ირაკლი ნადირაძეს,ნიკოლოზ ვაჩეიშვილს, ლევან ხაბეიშვილს.

შეკითხვები ეხებოდა ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილს, კერძოდ მოსაკრებელებს სპეციალური(ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის(K2 კოეფიციენტთან დაკავშირებით), ასევე ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა დასუფთავების ღონისძიებების პროგრამაში 6300,0 ათასი ლარი პრემიის გარდა რას ემატება და მოითხოვა განმარტება ბაგა-ბაღებთან დაკავშირებით 9 000,0 ლარი კონკრეტულად რას მოხმარდება. K2 კოეფიციენტთან დაკავშირებით შეკითხვები ჰქონდათ ასევე ნიკა ვაჩეიშვილს, ხოლო ლევან ხაბეიშვილი დაინტერესდა თუ რატომ იზრდება სარეზერვო ფონდის მოცულობა.

მათ შეკითხვებზე განმარტებები გააკეთეს გაიოზ ცალაკცაძემ, ირაკლი ზარქუამ, დავით უთმელიძემ,ირინა ჭეიშვილმა და დავით კერესელიძემ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა საკითხი და გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

წინააღმდეგი-ი.ნადირაძე

მოისმინეს: ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკითხის შესახებ ისაუბრა ირაკლი თავართქილაძემ. მან აღნიშნა, რომ მერიის პროექტის ფარგლებში 2011-2012 წლებში თბილისში გამოცხადდა აუქციონი ახალი თანამედროვე დიზაინის 1000-მდე სავაჭრო ჯიხურის განთავსებასთან დაკავშირებით და ჯიხურების განთავსების უფლების ვადა განისაზღვრა 5 წლის ვადით. გამომდინარე აქედან აუქციონში გამარჯვებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სარგებლობის უფლება დაუმთავრდათ 2016-2017 წლებში. სარგებლობის უფლების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, მცირე ბიზნესისთვის ჯიხურების თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელება სამი თვით, არაუმეტეს 2018 წლის 31 მარტამდე, აუქციონის შედეგად დადგენილი წლიური სარგებლობის საფასურის უცვლელად.

ლევან ხაბეიშვილის შეკითხვაზე, ირაკლი თავართქილაძემ დააკონკრეტა, რომ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებთან დადებულ ხელშეკრულებასაც ვადა გაუვიდა 2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მათაც გაუგრძელდათ ხელშეკრულების ვადა 2018 წლის 31 მარტამდე იმ პირობით, რომ მომავალი მოიჯარის მიერ მოხდება ქონების ფაქტობრივი ფლობის პერიოდში სარგებლობის საფასურის თბილისის ბიუჯეტში გადახდა, შესაბამის პერიოდში ქონების საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

კომისიის წევრების შეკითხვაზე ჯიხურების დიზაინთან აკავშირებით, ირაკლი თავარქთქილაძის თქმით

არქიტექტურის სამსახური უკვე მუშაობს ამ საკითხთან დაკავშირებით, ამავე დროს ისეთ ადგილებში, სადაც ჯიხურები ხელს შეუშლის ტრანსპორტის მოძრაობას ან მოსახლეობას , ჯიხურები აღარ ჩაიდგმება.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: "ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის ,უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) დახმარება ხორცილედება თბილისის მუნიციპალიტეტის 2015-2017წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამებიდან, თუმცა დაზარალებულ პირთა დახმარება კვლავ გრძელდება და ამ ეტაპზე ეს პროცესი დასრულებული არ არის 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული თანხების ამოწურვის გამო შეფერხდა პროცედურები, შესაბამისად მიზანშეწონილია დახმარება განხორციელდეს 2018 წლის ბიუჯეტიდან.
კომისიის წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: "ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის ,უძრავი ქონების დათმობისა და სხვასახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი №11-01173592616, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით საქალაქო სამსახურებისა და საბურთალოს რაიონის გამგეობისთვის მიკუთვნებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.
გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურს, თანამშრომლისა საახალწლო პრემიისათვის დამატებით სჭირდება 89500 ლარი, ასევე საბურთალოს რაიონის გამგეობა სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრების დაკრძალვასთან დაკავშირებულ სარიტუალო მომსახირებისათვის, გამგეობაში შემოსული სამი განცხადებისათვის ითხოვს დამატებით 3000 ლარს, გამგეობის პროგრამებში არსებული ეკონომიების შედეგად თანხების შესაბამისად შემცირებით.

კომისიის წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი,

„ქალაქ თბილისის 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით თბილისის მუნიციპალიტეტის საქალაქო სამსახურებისა და საბურთალოს რაიონის გამგეობისათვის მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ, სადაც სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში“ (06 02 18 12) იზრდება 3000 ლარით და უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის (10 20) ასიგნებები იზრდება 89500 ლარით, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთა უმრავლესობამ გადაწყვიტა:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტით პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

ირაკლი ნადირაძეს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი ზარქუა